ვანის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების
პრიორიტეტების დოკუმენტი

თავი I . ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის სამხრეთ-დასავლეთით ნაწილში. ესაზღვრება ბაღდათის, სამტრედიის,წყალტუბოს,ადიგენისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტში 42 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 41 სოფელი, რომლებიც 21 ადმინისტრაციულ ერთეულადაა წარმოდგენილი. ქ. ვანი, ამაღლება, ბზვანი, გადიდი, გორა, დიხაშხო, ზედა ვანი, ზეინდარი, მთისძირი, მუქედი, სალომინაო, სალხინო, საპრასია, ტობანიერი, უხუთი, ფერეთა, ყუმური, შუამთა, ციხესულორი, სულორი, ძულუხი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ვანი.

მუნიციპალიტეტის ფართობის შეადგენს 557 კმ²-ს, რაც ქვეყნის ფართობის 0,8% და რეგიონის ფართობის 8,5% შეადგენს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 20,1 ათასი კაცია, ქვეყნის მოსახლეობის 0,5% და რეგიონის მოსახლეობის 4,3%. ქალაქში მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს 3,4 ათას კაცს (16,8%), ხოლო სოფლად მცხოვრებთა 16,8 ათას (83,2%). მათ შორის ქალი 10,2 (50,8%), ხოლო კაცი 9,9 (49,2%). 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობაა 1500 (7,5%) ხოლო სასკოლო ასაკის 2776 (13,9%). ასაკით პენსიონერთა რაოდენობაა 6431 (31,8%) შეადგენს, სხვა პენსიის მიმღები პირი კი 1327-ს (6,6%). სოციალურად დაუცველთა რაოდენობაა 1033 (5,1%). მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 36,2 კაცი/კმ².

განათლება

მუნიციპალიტეტში მოქმედებს 30 საჯარო სკოლა, აქედან 21 საშუალო, ხოლო 9 არასრულია. მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 2776 , ხოლო მასწავლებელთა და ტექნიკური პერსონალის რაოდენობა 750-მდეა. გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტში ერთი მართლმადიდებული გიმნაზიაა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 26 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1500 აღსაზრდელი. სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთა რიცხოვნობა 326-ია.

კულტურა

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი კულტურის ცენტრი, ქალაქ ვანში და შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში. ქალაქ ვანის კულტურის ცენტრთან მოქმედებს კარლო საკანდელიძის სახელობის ვანის სახალხო თეატრი, ფოლკლორული ანსამბლები ,,ვანი“ და ,,შუამთა“, ასევე ჯგუფი ,,არგო“.

სპორტი

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საფეხბურთო კლუბი სულორი-ვანი, რომელიც ამჟამად ასპარეზობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-4 ლიგაში. მუნიციპალიტეტში არის ასევე სარაგბო კლუბი აიეტი, რომელიც რაგბის ეროვნული ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგაში გამოდის. სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დაქვემდებარებაში მოქმედებს მძლეოსნობის, ჭიდაობის, კალათბურთის, ჭადრაკის სექციები, რომლებშიც ჩართული მომავალი თაობა საკმაოდ წარმატებით გამოდის სხვადასხვა ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატებზე.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო

სტატისტიკური მონაცემებით ვანის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 20,1 ათასი კაცი, აქედან სოციალურად დაუცველ ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტირირებულია და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საარსებო შემწეობას ღებულობს 9000-მდე ბენეფიციარი. პენსიონერთა რაოდენობა 6431-ია.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი სამედიცინო და ერთი დიაგნოსტიკური ცენტრი. სამედიცინო ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით და გათვლილია 10 საწოლზე. 21-დან 17 ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს ამბულატორია.

ბუნებრივი რესურსები

ვანის მუნიციპალიტეტი მდიდარია ფლორითა და ფაუნით. დაბლობი ძირითადად გამოყენებულია სასოფლო სამეურნეო კულტურებისათვის. ზოგადად მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყეებით, სუბალპური მდელოებით და სუბალპური ბუჩქნარებით. მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა სამშენებლო მასალები: ანდეზიტი, ბაზალტი, ალებასტრი (ინაშაური), კერამიკული თიხა, კირქვა (ისრითი). ასევე მოიპოვება მინერალური (ინაშაური, სულორი, ჭოკიანი) და თერმული წყლები (ამაღლება, სულორი).

ტურიზმი

ვანის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტურიზმს. ყველაზე ცნობილი ტურისტული ობიექტია ვანის ანტიკური ნაქალაქარი. სოფლებში ასევე მრავლადაა ისტორიული ძეგლები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი ბალნეოლოგიური კურორტია: სულორი და ამაღლება. ქალაქ ვანში, ანტიკური ნაქალაქარის ტერიტორიაზე ამჟამად ფუნქციონირებს ვანის არქეოლოგიური მუზეუმი სადაც თავმოყრილია აქ აღმოჩენილი ძვ. წელთაღრიცხვით VIII-I საუკუნის ნივთები, შემორჩენილია ნაქალაქარის არქეოლოგიური ნაშთები. სოფელ ჭყვიშში გალაკტიონ ტაბიძისა და ტიციან ტაბიძის ისტორიული სახლების ახლოს მოქმედებს მათივე სახელობის მუზეუმი. სოფელ ტობანიერში ფუნქციონირებს კორნელი კეკელიძისა და კალისტრატე ცინცაძის სახლ-მუზეუმები.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 30 წევრისგან. მათგან 20 არჩეულია პროპორციული, ხოლო 10 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია და სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

ვანის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (9 სამსახური), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების მეშვეობით (9 აიპი).

მუნიციპალიტეტის ხედვა

ვანის მუნიციპალიტეტის მიზანია ჩამოყალიბდეს როგორც მიმზიდველი, საინტერესო, ცხოვრებისა და დასვენებისათვის ხელსაყრელი პატარა მუნიციპალიტეტი, შესაბამისი ტრადიციებითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით, განვითარებული ტურიზმით, აგროსექტორითა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებით, ეკონომიკური სტაბილურობით, განათლების, კულტურის, სპორტის, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობით.

2024-2027 წლებში ვანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები. ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვანის მუნიციპალიტეტის 2024 – 2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას. ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარეგანათება,

წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას. განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ინოვაცია: განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და ხელი შეეწყობა გენდერული თანასწორობის დამყარებას. წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დაძლევისთვის კონკრეტულ ქმედებებს.

თავი II . ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2024-2027 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. მაჩვენებლები მოცემულია ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროგნოზის ფარგლებში.

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურისა და სპორტის სფეროს განვითარება. 2024-2027 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები				
შემოსავლები	18406.2	8954.9	9451.3	16483.2	5941.8	10541.4	12250.0	13254.5	14328.1	15503.0
გადასახადები	8607.9	0.0	8607.9	9347.8	0.0	9347.8	10333.0	11180.3	12085.9	13077.0
გრანტები	9404.9	8954.9	450.0	6691.8	5941.8	750.0	1460.0	1579.7	1707.7	1847.7
სხვა შემოსავლები	393.4	0.0	393.4	443.6	0.0	443.6	457.0	494.5	534.5	578.4
ხარჯები	9708.0	600.4	9107.6	12103.4	1620.3	10483.1	12194.0	13193.9	14262.6	15432.1
შრომის ანაზღაურება	2664.4	90.0	2574.4	3127.7	118.0	3009.7	3580.0	3873.6	4187.3	4530.7
საქონელი და მომსახურება	1541.4	435.4	1106.0	1783.4	614.9	1168.5	1288.0	1393.6	1506.5	1630.0
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0			0.0				0.0	0.0	0.0
პროცენტი	27.5	0.0	27.5	27.0	0.0	27.0	24.0	26.0	28.1	30.4
სუბსიდიები	4541.5	75.0	4466.5	5419.9	123.0	5296.9	6266.0	6779.8	7329.0	7930.0
გრანტები	11.3	0.0	11.3	11.3	0.0	11.3	12.0	13.0	14.0	15.2
სოციალური უზრუნველყოფა	795.3	0.0	795.3	828.2	0.0	828.2	864.0	934.8	1010.6	1093.4
სხვა ხარჯები	126.6	0.0	126.6	905.9	764.4	141.5	160.0	173.1	187.1	202.5
საოპერაციო სალდო	8698.2	8354.5	343.7	4379.8	4321.5	58.3	56.0	60.6	65.5	70.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10349.8	9980.4	369.4	5595.8	5194.5	401.3	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	10577.1	9980.4	596.7	5795.8	5194.5	601.3	300.0	324.6	350.9	379.7
კლება	227.3	0.0	227.3	200.0	0.0	200.0	300.0	324.6	350.9	379.7
მთლიანი სალდო	-1651.6	-1625.9	-25.7	-1216.0	-873.0	-343.0	56.0	60.6	65.5	70.9

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები				
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1707.2	-1625.9	-81.3	-1271.6	-873.0	-398.6	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა										
კლება	1707.2	1625.9	81.3	1271.6	873.0	398.6	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6	-56.0	-60.6	-65.5	-70.9
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	56.0	60.6	65.5	70.9
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები				
შემოსულობები	18633.5	8954.9	9678.6	16683.2	5941.8	10741.4	12550.0	13579.1	14679.0	15882.7
შემოსავლები	18406.2	8954.9	9451.3	16483.2	5941.8	10541.4	12250.0	13254.5	14328.1	15503.0
გადასახადები	8607.9	0.0	8607.9	9347.8	0.0	9347.8	10333.0	11180.3	12085.9	13077.0
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	394.8		394.8	350.0		350.0	500.0	541.0	584.8	632.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	8213.1		8213.1	8997.8		8997.8	9833.0	10639.3	11501.1	12444.2
გრანტები	9404.9	8954.9	450.0	6691.8	5941.8	750.0	1460.0	1579.7	1707.7	1847.7
მიზნობრივი ტრანსფერი	493.9	493.9		716.7	716.7		260.0	281.3	304.1	329.0
კაპიტალური ტრანსფერი	8461.0	8461.0		4275.1	4275.1			0.0	0.0	0.0
სპეციალური ტრანსფერი	450.0		450.0	1700.0	950.0	750.0	1200.0	1298.4	1403.6	1518.7
სხვა შემოსავლები	393.4	0.0	393.4	443.6	0.0	443.6	457.0	494.5	534.5	578.4
შემოსავლები საკუთრებიდან	194.1		194.1	293.6		293.6	307.0	332.2	359.1	388.5
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	54.1		54.1	50.0		50.0	50.0	54.1	58.5	63.3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	36.2		36.2	50.0		50.0	50.0	54.1	58.5	63.3
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	109.0		109.0	50.0		50.0	50.0	54.1	58.5	63.3
არაფინანსური აქტივების კლება	227.3		227.3	200.0		200.0	300.0	324.6	350.9	379.7
ფინანსური აქტივების კლება	0.0			0.0						
ვალდებულებების ზრდა	0.0			0.0						

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები				
	ვანის მუნიციპალიტეტი	20340.7	10580.8	9759.9	17954.8	6814.8	11140.0	12550.0	13579.1	14679.0	15882.7
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3699.2	90.0	3609.2	4409.4	137.0	4272.4	4825.0	5220.7	5643.5	6106.3
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	3466.4	90.0	3376.4	4176.8	137.0	4039.8	4595.0	4971.8	5374.5	5815.2
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	919.4	0.0	919.4	1111.0	0.0	1111.0	1213.0	1312.5	1418.8	1535.1
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	2410.9	0.0	2410.9	2915.0	0.0	2915.0	3210.0	3473.2	3754.6	4062.4
01 01 03	მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური	136.1	90.0	46.1	150.8	137.0	13.8	172.0	186.1	201.2	217.7
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	232.8	0.0	232.8	232.6	0.0	232.6	230.0	248.9	269.0	291.1
01 02 01	სარეზერვო ფონდი	149.7	0.0	149.7	150.0	0.0	150.0	150.0	162.3	175.4	189.8
01 02 02	დავალიანების დაფარვის ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02 03	ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	83.1	0.0	83.1	82.6	0.0	82.6	80.0	86.6	93.6	101.2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10493.4	9718.1	775.3	6154.7	5552.6	602.1	490.0	530.2	573.1	620.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7686.6	7146.3	540.3	4407.6	4099.1	308.5	280.0	303.0	327.5	354.4

	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები				
02 02	ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	0.0	0.0	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 04	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	205.6	0.0	205.6	205.4	0.0	205.4	210.0	227.2	245.6	265.8
02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1921.6	1898.4	23.2	842.5	780.3	62.2	0.0	0.0	0.0	0.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	679.6	673.4	6.2	697.2	673.2	24.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 07	სამოქალაქო ბიუჯეტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	დასუფთავება	644.6	0.0	644.6	720.0	0.0	720.0	800.0	865.6	935.7	1012.4
03 01	მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურება	644.6	0.0	644.6	720.0	0.0	720.0	800.0	865.6	935.7	1012.4
03 02	დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	2741.9	697.7	2044.2	2998.5	485.4	2513.1	2950.0	3191.9	3450.4	3733.4
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	2039.3	0.0	2039.3	2500.0	0.0	2500.0	2950.0	3191.9	3450.4	3733.4
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია	300.0	295.1	4.9	28.0	14.9	13.1	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	328.9	328.9	0.0	456.7	456.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 04	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	73.7	73.7	0.0	13.8	13.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზდრობა და სპორტი	1754.4	0.0	1754.4	2074.0	0.0	2074.0	2330.0	2521.1	2725.3	2948.7
05 01	სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	681.4	0.0	681.4	812.0	0.0	812.0	910.0	984.6	1064.4	1151.7
05 01 01	სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	12.0	0.0	12.0	20.0	0.0	20.0	20.0	21.6	23.4	25.3
05 01 02	სპორტული დაწესებულებების მხარდაჭერა	227.6	0.0	227.6	305.0	0.0	305.0	350.0	378.7	409.4	442.9
05 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	247.3	0.0	247.3	275.0	0.0	275.0	305.0	330.0	356.7	386.0
05 01 04	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	194.5	0.0	194.5	212.0	0.0	212.0	235.0	254.3	274.9	297.4
05 01 05	სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1029.8	0.0	1029.8	1232.0	0.0	1232.0	1390.0	1504.0	1625.8	1759.1
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	517.8	0.0	517.8	602.0	0.0	602.0	700.0	757.4	818.7	885.9
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	412.0	0.0	412.0	530.0	0.0	530.0	590.0	638.4	690.1	746.7
05 02 03	კულტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0	100.0	108.2	117.0	126.6
05 03	კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება	43.2	0.0	43.2	30.0	0.0	30.0	30.0	32.5	35.1	38.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	942.9	75.0	867.9	1518.2	639.8	878.4	1065.0	1152.3	1245.7	1347.8
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	108.7	75.0	33.7	123.0	123.0	0.0	140.0	151.5	163.7	177.2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	108.7	75.0	33.7	123.0	123.0	0.0	140.0	151.5	163.7	177.2
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02	სოციალური დაცვა	829.6	0.0	829.6	1390.2	516.8	873.4	920.0	995.4	1076.1	1164.3
06 02 01	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	72.7	0.0	72.7	70.0	0.0	70.0	70.0	75.7	81.9	88.6
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	30.7	0.0	30.7	30.0	0.0	30.0	30.0	32.5	35.1	38.0
06 02 03	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	360.7	0.0	360.7	360.0	0.0	360.0	400.0	432.8	467.9	506.2
06 02 04	ქრონიკული დაავადების მქონე პირთა დახმარება	83.3	0.0	83.3	100.0	0.0	100.0	100.0	108.2	117.0	126.6
06 02 05	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	69.4	0.0	69.4	80.0	0.0	80.0	80.0	86.6	93.6	101.2
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	45.0	0.0	45.0	53.4	0.0	53.4	50.0	54.1	58.5	63.3
06 02 07	სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	43.5	0.0	43.5	556.8	516.8	40.0	50.0	54.1	58.5	63.3
06 02 08	დღეგრძელთა დახმარება	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	7.6	8.2	8.9
06 02 09	ვეტერანთა დახმარება	12.7	0.0	12.7	13.0	0.0	13.0	13.0	14.1	15.2	16.5
06 02 10	მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება	22.5	0.0	22.5	22.0	0.0	22.0	22.0	23.8	25.7	27.8
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	34.5	0.0	34.5	35.0	0.0	35.0	35.0	37.9	40.9	44.3
06 02 12	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	2.3	0.0	2.3	3.0	0.0	3.0	3.0	3.2	3.5	3.8
06 02 13	უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	5.8	0.0	5.8	8.0	0.0	8.0	8.0	8.7	9.4	10.1
06 02 14	სარიტუალო დახმარება	16.2	0.0	16.2	15.0	0.0	15.0	15.0	16.2	17.5	19.0
06 02 15	მარტოხელა მშობელთა დახმარება	5.1	0.0	5.1	7.0	0.0	7.0	7.0	7.6	8.2	8.9

	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა			2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები				
06 02 16	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება	18.2	0.0	18.2	30.0	0.0	30.0	30.0	32.5	35.1	38.0
06 02 17	სხვა სოციალური ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 03	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	4.6	0.0	4.6	5.0	0.0	5.0	5.0	5.4	5.8	6.3
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	64.3	0.0	64.3	80.0	0.0	80.0	90.0	97.4	105.3	113.9
07 01	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	64.3	0.0	64.3	80.0	0.0	80.0	90.0	97.4	105.3	113.9

	ვანის მუნიციპალიტეტის ასიგნებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა საკუთარი შემოსულობების ფარგლებში	რიცხოვნობა	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
	ვანის მუნიციპალიტეტი	932	17,954.8	12,550.0	13,579.1	14,679.0	15,882.7
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	187	4,409.4	4,825.0	5,220.7	5,643.5	6,106.3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	-	6,154.7	490.0	530.2	573.1	620.1
03 00	დასუფთავება	92	720.0	800.0	865.6	935.7	1,012.4
04 00	განათლება	326	2,998.5	2,950.0	3,191.9	3,450.4	3,733.4
05 00	კულტურა, ახალგაზდრობა და სპორტი	306	2,074.0	2,330.0	2,521.1	2,725.3	2,948.7
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	14	1,518.2	1,065.0	1,152.3	1,245.7	1,347.8
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	7	80.0	90.0	97.4	105.3	113.9

	პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
	ვანის მუნიციპალიტეტი	12,550.0	13,579.1	14,679.0	15,882.7
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,825.0	5,220.7	5,643.5	6,106.3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	490.0	530.2	573.1	620.1
03 00	დასუფთავება	800.0	865.6	935.7	1,012.4
04 00	განათლება	2,950.0	3,191.9	3,450.4	3,733.4
05 00	კულტურა, ახალგაზდრობა და სპორტი	2,330.0	2,521.1	2,725.3	2,948.7
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,065.0	1,152.3	1,245.7	1,347.8
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	90.0	97.4	105.3	113.9

	პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება არსებული პოლიტიკის და ახალი ინიციატივების დასაფინანსებლად, ჯამურად	2024 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
	ვანის მუნიციპალიტეტი	12,550.0	13,579.1	14,679.0	15,882.7
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4,825.0	5,220.7	5,643.5	6,106.3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	490.0	530.2	573.1	620.1
03 00	დასუფთავება	800.0	865.6	935.7	1,012.4
04 00	განათლება	2,950.0	3,191.9	3,450.4	3,733.4
05 00	კულტურა, ახალგაზდრობა და სპორტი	2,330.0	2,521.1	2,725.3	2,948.7
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,065.0	1,152.3	1,245.7	1,347.8
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	90.0	97.4	105.3	113.9

2022 წლის ბიუჯეტი

ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 29 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 24 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 8750,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა 9300,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 550,0 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში ბიუჯეტში შვიდჯერ იქნა შეტანილი ცვლილება და

შემოსულობები დაზუსტდა 18434,6 ათასი ლარის, გადასახდელები 21413,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2978,8 ათასი ლარის მოცულობით.

2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 18184,6 ათასი ლარით განისაზღვრა, ბიუჯეტში მობილიზებულია 18406,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 101,2% -ს შეადგენს.

გადასახადების 2022 წლის საპროგნოზო მოცულობა 8275,0 ათასი ლარით, განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 8607,9 ათასი ლარი რაც წლიური გეგმის 104,0 % -ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი გრანტების 2022 წლის გეგმა 9454,5 ათასი ლარით განისაზღვრა. ფინანსთა, ინფრასტრუქტურისა და განათლების სამინისტროებიდან დაფინანსების მიღების პროცესი იწარმოებოდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ან/და გაწეული მომსახურების მიხედვით. მიღებული დაფინანსება 9404,9 ათას ლარს შეადგენს, წლიური გეგმის 99,5%-ს.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 455,1 ათასი ლარით. მობილიზებულ იქნა 393,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 86,4%-ით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 9801,4 ათას ლარს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 9708,0 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 99,0%-ია.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ასიგნების გეგმა განისაზღვრა 11440,8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ გეგმის 91,7%, 10493,4 ათასი ლარი შეადგინა.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ასიგნებები განისაზღვრა 645,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 644,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 99,9% -ია.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსების 2022 წლის ასიგნება განისაზღვრა 2831,7 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2741,9 ათასი ლარი, გეგმის 96,8%.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნების მოცულობა განისაზღვრა 1771,6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1754,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 99,0%.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის გეგმიური დაფინანსება განისაზღვრა 952,0 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 942,9 ათასი ლარი, გეგმის 99,0%

ეკონომიკის განვითარების და ხელშეწყობი პრიორიტეტის ასიგნება განისაზღვრა 66,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ 64,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 97,4%-ია.

2023 წლის ბიუჯეტი

ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 22 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 27 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 11000,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 11300,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 300,0 ათასი ლარით. პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში სამჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 16683,2 ათასი ლარის, გადასახდელები 17954,8 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1271,6 ათასი ლარის მოცულობით.

2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 16483,2 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო პერიოდის გეგმა 10464,0 ათასი ლარით. ბიუჯეტში მობილიზებულია 10131,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 61,5% -ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 96,8% -ს შეადგენს.

გადასახადების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა 9347,8 ათასი ლარით, ხოლო პერიოდის გეგმა 5019,0 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 4827,6 ათასი ლარი წლიური გეგმის 51,6% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 96,2%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2023 წლის გეგმა 6691,8 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდის გეგმა 5201,0 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 5199,1 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 77,7%-ით, ხოლო პერიოდის გეგმა 100,0%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 443,6 ათასი, ხოლო პერიოდის 244,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 104,6 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 23,6%, პერიოდის გეგმის 42,9% ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 12104,1 ათას ლარს, პერიოდის კი 6639,5 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 6272,1 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 51,8% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 94,5%.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ასიგნების გეგმა განისაზღვრა 6154,7 ათასი ლარის, პერიოდის გგემა კი 4834,7 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 67,2%, პერიოდის გგემის 85,5% - 4133,3 ათასი ლარი შეადგინა.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ასიგნებები განისაზღვრა 720,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 345,6 ათასი ლარი რაც წლიური გეგმის 48,0%, პერიოდის გგემის 96,0%-ია.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსების წლიური ასიგნება განისაზღვრა 2998,5 ათასი ლარით, პერიოდის - 1619,4 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 1571,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 52,4%, პერიოდის გგემის 97,1 %-ია.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ასიგნების წლირი მოცულობა განისაზღვრა 2074,0 ათასი ლარით, პერიოდის გეგმა 1138,0 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 1049,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის 50,6%, პერიოდის გეგმის 92,2%.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის წლიური გეგმიური დაფინანსება 1602,2 ათასი ლარით, პერიოდის გეგმა -1172,8 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულებამ შეადგინა 1020,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის -63,7%, პერიოდის გეგმის-87,0%.

ეკონომიკის განვითარების და ხელშეწყობი პრიორიტეტის ასიგნება განისაზღვრა 80,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ 47,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 59,8%, პერიოდის გეგმის 97,8%-ია.

თავი III . მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

1) ინფრასტრუქტურის განვითარება (კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. ბოლო წლების განმავლობაშიც, სწორედ ამ სფეროს დაფინანსებაზე მოდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უდიდესი წილი. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საბიუჯეტო პროგრამები: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, მუნიციპალიტეტის კეთლმოწყობის ღონისძიებები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სამოქალაქო ბიუჯეტი.

	დასახელება	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	490.0	530.2	573.1	620.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	280.0	303.0	327.5	354.4
02 02	ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	-	-	-	-
02 03	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	-	-	-	-
02 04	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	210.0	227.2	245.6	265.8
02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	-	-	-	-
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	-	-	-	-
02 07	სამოქალაქო ბიუჯეტი	-	-	-	-

1.1) საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 01)

აღწერა: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი. ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება მოვლა პატრონობას, გზების მიმდინარე შეკეთებას და პროექტის ზედამხედველობას.

მიზანი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, გადაადგილების დროის შემცირება, ტურიზმის ხელშეწყობა, მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

1.2) ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 02)

აღწერა: პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია, რის შედეგად უხვი ნალექების პირობებში მოსახლეობა დაცული იქნება დატბორვისგან. კომფორტული გახდება აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადადგილება და სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობა. უზრუნველყოფილი იქნება სტიქიის პრევენცია. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით.

მიზანი: მოსახლეობის და ინფრასტრუქტურის შესაძლო წყალმოვარდნებისაგან დაცვა, სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

1.3) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 03)

1.4) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 04)

აღწერა: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ქსელის გამართულ ფუნქციონირებას. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში განათების სისტემის ექსპლოტაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ვანში და 20 ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის ასიგნებები მოხმარდება ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.

მიზანი: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

1.5) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 05)

1.6) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (კოდი 02 06)

აღწერა: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინასებით, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, განხორციელდება მოსახლეობის მიერ კრებებზე გამოთქმული სხვადასხვა სახის პროექტების და ღონისძიებები.

მიზანი: მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

1.7) სამოქალაქო ბიუჯეტი (კოდი 02 07)

აღწერა: პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის, პროექტების განხორციელების და მონიტორინგის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობას. პროგრამა ფარგლებში განხორციელებული პროექტების შინაარსი უნდა ემთხვეოდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, განხორციელების ლოკაცია იყოს ვანის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, პროექტის მიზანი იყოს საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა და წარმოადგენდეს საზოგადოებრივ საკუთრებას. სპეციალური კომისიის მიერ შერჩეული პროექტები მიიღებენ დაფინანსებას და განხორციელდება 2023 წლის განმავლობაში.

მიზანი: პროგრამა მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებას. იგი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაგეგმვის, პროექტების განხორციელების და მონიტორინგის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობას.

2) დასუფთავება (კოდი 03 00)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურებისა და დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საბიუჯეტო პროგრამების

დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან, ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

	დასახელება	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება	800.0	865.6	935.7	1,012.4
03 01	მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურება	800.0	865.6	935.7	1,012.4
03 02	დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა	-	-	-	-

2.1) მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურება (კოდი 03 01)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ვანის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და ნაგავსაყრელზე გატანას, რომელსაც ემსახურება სამი ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ვანის კომუნალური გაერთიანების ადმინისტრაციულ ხარჯებს და პერსონალის ხელფასებს.

მიზანი: ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა.

2.2) დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (კოდი 03 02)

3) განათლება (კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

	დასახელება	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	2,950.0	3,191.9	3,450.4	3,733.4
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	2,950.0	3,191.9	3,450.4	3,733.4
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია	-	-	-	-
04 03	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	-	-	-	-
04 04	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	-	-	-	-

3.1) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (კოდი 04 01)

აღწერა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის განახორციელებს ქვეპროგრამების: სკოლამდელი

აღზრდა და განათლების და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაციის დაფინანსებას.

მიზანი: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სრულფასოვანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

3.1.1) სკოლამდელი აღზრდა და განათლება (კოდი 04 01 01)

აღწერა: ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 700-ზე მეტი ბავშვი.

მიზანი: საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომელთათვის სამუშაო პირობების შექმნა.

3.1.2) სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია (კოდი 04 01 02)

აღწერა: დღეისათვის მუნიციპალიტეტში ფუქნციონირების 26 ბაღი, საშუალოდ ერთ ბაღში სწავლობს 30 აღსაზრდელი (მ.შ. გოგო 15, ბიჭი 15) მუნიციპალიტეტში საშუალოდ წლიურად ბაღის ასაკის მოსახლეობის რიცხვი არის 700, (მ.შ. გოგო 350; ბიჭი 350) ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობისათვის, სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის და აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით უნდა მოხდეს ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება, არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, მათ აღჭურვა სათანადო ინვენტარით. რეაბილიტაციის დროს გათვალისწინებული იქნება როგორც ქალთი და მამაკაცი პერსონალის, ასევე აღსაზრდელი გოგოების და ბიჭების საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მოქნე პირების.

მიზანი: ბაგა-ბაღების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

3.2) ზოგადი განათლების ხელშეწყობა (კოდი 04 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების რეაბილიტაციის ქვეპროგრამების დაფინანსება.

მიზანი: საჯარო სკოლის მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილება და კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნა.

3.2.1) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 04 02 01)

აღწერა: მუნიციპალიტეტის განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობის ღონისძიებები. კერძოდ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 საჯარო სკოლა, მომსახურებით სარგებლობს 25 სკოლის 878 მოსწავლე, მ.შ. 441 გოგო 437 ბიჭი. მომსახურებით სარგებლობს 11 შშმპ პირი, მ.შ. 4 გოგო 7 ბიჭი. მოსწავლეებს კერძო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება მიკროავტობუსები 82 სხვადასხვა მარშრუტზე.

მიზანი: საჯარო სკოლის მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილება.

3.2.2) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია (კოდი 04 02 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტის მიერ განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება საჯარო სკოლებში სველი წერტილებისა და ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები, გათბობის სისტემების მოწყობა-მონტაჟი.

მიზანი: კომფორტული და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა.

4) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ

გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

	დასახელება	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზდრობა და სპორტი	2,330.0	2,521.1	2,725.3	2,948.7
05 01	სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	910.0	984.6	1,064.4	1,151.7
05 01 01	სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	20.0	21.6	23.4	25.3
05 01 02	სპორტული დაწესებულებების მხარდაჭერა	350.0	378.7	409.4	442.9
05 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	305.0	330.0	356.7	386.0
05 01 04	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	235.0	254.3	274.9	297.4
05 01 05	სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	-	-	-	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,390.0	1,504.0	1,625.8	1,759.1
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	700.0	757.4	818.7	885.9
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	590.0	638.4	690.1	746.7
05 02 03	კულტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	-	-	-	-
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0	108.2	117.0	126.6
05 03	კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება	30.0	32.5	35.1	38.0

4.1) სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01)

აღწერა: მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.

მიზანი: ცნობიერების ამაღლება; მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

4.1.1) სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (კოდი 05 01 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, კერძოდ, ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოებას, წახალისებას ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარებას; პროექტებს: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ვანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები.

მიზანი: სხვადასხვა ასაკის მოსახლეობაში, როგორც ქალბატონებში, ასევე მამაკაცებში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ამაღლება; მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;

4.1.2) სპორტული დაწესებულებების მხარდაჭრა (კოდი 05 01 02)

აღწერა: სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება აერთიანებს სხვადასხვა სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი, ქართული და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, სამბო, ძიუდო, ველოსპორტი. აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

მიზანი: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

4.1.3) ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01 03)

აღწერა: საფეხბურთო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყობს სამი ასაკობრივი კლუბის აღსაზრდელების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე ცენტრალური სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინასნებას.

მიზანი: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

4.1.4) რაგბის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01 04)

აღწერა: სარაგბო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყობს სამი ასაკობრივი და პროფესიული კლუბის მორაგბეების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე სარაგბო სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას.

მიზანი: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

4.1.5) სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (კოდი 05 01 05)

4.2) კულტურის სფეროს განვითარება (კოდი 05 02)

აღწერა: კულტურის სფეროს განვითარების პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამების: კულტურის ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 01); სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 05 02 02); კულტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 02 04); კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 05); დაფინანსებას.

4.2.1) კულტურის ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 01)

აღწერა: ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ კულტურული ღონისძებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსებას, რომლის მიზანია ითანამშრომლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან და ცალკეულ ხელოვანებთან. შეიმუშაოს კულტურული პროგრამები თავისი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოს სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების მიზნით დააფინანსოს ხალხური სიმღერის ანსამბლები. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამი კულტურის სახლი, კარლო საკანდელიძის სახელობის ვანის სახალხო თეატრი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები.

მიზანი: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი ჩართულობის გაზრდა.

4.2.2) სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 05 02 02)

აღწერა: ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებას. ორგანიზაცია აერთიანებს სამუსიკო სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, ბიბლიოთეკებს, კორნელი კეკელიძის, კალისტრატე ცინცაძის, გიორგი ძიგვაშვილისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმებს, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს.

მიზანი: მიეცეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაბამისი საფეხურისა და სახელოვნებო პროფილის განათლება. ხელი შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულ მოსწავლეებში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლას. სამუზეუმო ფონდის შევსებისა და სრულყოფის მიზნით, შეიძინოს ან შემოწირულობა-საჩუქრის სახით, შეკრიბოს ნივთები, კულტურის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტალური, ეთნოგრაფიული მასალები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა. უზრუნველყოს ყველა ასაკის მკითხველი საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურეობით. იზრუნოს საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნგაცვლითი ურთიერთობის დამყარებაზე.

4.2.3 კულტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (კოდი 05 02 03)

4.2.4) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 02 04)

აღწერა: მუნიციპალიტეტი აგრძელებს ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსურ მხარდაჭერას.

მიზანი: ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსურ მხარდაჭერა.

4.2.5) კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 05)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით;

მიზანი: ვანის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

5) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს უზრუნველყოფს დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

	დასახელება	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,065.0	1,152.3	1,245.7	1,347.8
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	140.0	151.5	163.7	177.2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	140.0	151.5	163.7	177.2
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	-	-	-	-
06 02	სოციალური დაცვა	920.0	995.4	1,076.1	1,164.3
06 02 01	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	70.0	75.7	81.9	88.6
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	30.0	32.5	35.1	38.0
06 02 03	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	400.0	432.8	467.9	506.2
06 02 04	ქრონიკული დაავადების მქონე პირთა დახმარება	100.0	108.2	117.0	126.6
06 02 05	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	80.0	86.6	93.6	101.2
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	50.0	54.1	58.5	63.3
06 02 07	სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	50.0	54.1	58.5	63.3
06 02 08	დღეგრძელთა დახმარება	7.0	7.6	8.2	8.9
06 02 09	ვეტერანთა დახმარება	13.0	14.1	15.2	16.5
06 02 10	მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება	22.0	23.8	25.7	27.8
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	35.0	37.9	40.9	44.3
06 02 12	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	3.0	3.2	3.5	3.8
06 02 13	უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	8.0	8.7	9.4	10.1
06 02 14	სარიტუალო დახმარება	15.0	16.2	17.5	19.0
06 02 15	მარტოხელა მშობელთა დახმარება	7.0	7.6	8.2	8.9
06 02 16	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება	30.0	32.5	35.1	38.0
06 02 17	სხვა სოციალური ღონისძიებები	-	-	-	-
06 03	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	5.0	5.4	5.8	6.3

5.1 ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 06 01)

აღწერა: მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:

მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

5.1.1) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 06 01 01)

აღწერა: მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; გ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

5.1.2) ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (კოდი 06 01 02)

5.2) სოციალური დაცვა (კოდი 06 02)

აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მიზანი: ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.1) ახალშობილთა ოჯახების დახმარება (კოდი 06 02 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილის შეძენისას 350 ლარის, მესამე შვილის შეძენისას 400 ლარის, მეოთხე და ყოველი მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარის ოდენობით. ტყუპების შემთხვევაში - თითოეულ შვილზე 500 ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (კოდი 06 02 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველწლიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 100 ლარს.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.3) სამედიცინო დახმარება (კოდი 06 02 03)

აღწერა: აღწერა: ა) დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 150000-ის ჩათვლით. ბ) ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც დაფინანსების მოთხოვნის მომენტში რეგისტრირებულნი არ არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ან მინიჭებული აქვთ 150000 - ზე მეტი სარეიტინგო ქულა, პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით ისარგებლებენ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელშიც აღწერილი იქნება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დახმარების დასაბუთებული აუცილებლობა. დახმარების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის კატეგორიის მიხედვით. კატეგორიები განსაზღვრულია დაავადებათა ნუზოლოგიის (ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პირები, გულის დაავადებათა მქონე პაციენტები, C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებული პირები და ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები), პაციენტის სოციალური სტატუსის, ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მიხედვით. დაფინანსების მოცულობა კატეგორიების მიხედვით განსაზღვრულია არაუმეტეს 400, 600, 800 და 1200 ლარის ოდენობით. თუ სამედიცინო დაწესებულებაში ბენეფიციარის მიერ ერთჯერადად გადასახდელი თანხა აღემატება 5000 ლარს, დახმარების ოდენობა განისაზღვრება 1000 ლარს დამატებული 5000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის 10 % - ით, არაუმეტეს 2500 ლარისა.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.4) ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარება (კოდი 06 02 04)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაწევა შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარებისთვის: **ა)** დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთათვის - 200 ლარის ოდენობით; **ბ)** არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის - 250 ლარი; **გ)** აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის - 150 ლარი; **დ)** I ტიპის (ინსულინდამოკიდებული) შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის - 150 ლარი; **ე)** ცერებრული დამბლით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის - 100 ლარი; **ვ)** დიპლეგიით, ჰემიპლეგიით, პარაპლეგიით, ტრიპლეგიით, ტეტრაპლეგიით, კვადრიპლეგიით, კუნთების ატროფიითა და კიდურების პარეზით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის - 100 ლარი; **ზ)** მხედველობის გამო მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული და 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის - 50 ლარი; **თ)** ცელიაკიით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის - 250 ლარი;

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.5) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (კოდი 06 02 05)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: **ა)** შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით; **ბ)** მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 200 ლარის ოდენობით; **გ)** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრის „ნათელი მომავალი“, ყოველთვიური ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.6) მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 06)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფას.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.7) სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (კოდი 06 02 07)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.8) დღეგრძელთა დახმარება (კოდი 06 02 08)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასი და მეტი წლის უხუცესთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა, თითოეულ ბენეფიციარზე 1000 ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.9) ვეტერანთა დახმარება (კოდი 06 02 09)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: **ა)** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; **ბ)** საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები) ვეტერანთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 300 (სამასი) ლარის ოდენობით; **გ)** ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის 300 (სამასი) ლარის ოდენობით; **დ)** 1989 წლის 9 აპრილის დაზარალებულთათვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.10) მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარება (კოდი 06 02 10)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა: **ა)** მარჩენალდაკარგული პირებისთვის, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე - 200 (ორასი) ლარის ოდენობით; **ბ)** დედ-მამით ობლებისთვის, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.11) სტუდენტთა დახმარება (კოდი 06 02 11)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ერჯერადი ფინანსური დახმარება, 500 ლარის ოდენობით გაეწევა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო ერთი წლის მანძილზე უწყვეტად რეგისტრირებულ, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტებს, რომელთა ოჯახები მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას და სარეიტინგო ქულა არის 1-დან 100000-მდე ან არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.12) ძალადობის მსხვერპლთა დახმარება (კოდი 06 02 12)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის,

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას 300 ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.13) ბინის ქირით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 13)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირების/ოჯახების, ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირების და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირების ბინის ქირით უზრუნველყოფას. ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - არაუმეტეს 150 ლარი თვეში; ბ) შუამთის, ზეინდრის, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 120 ლარი თვეში; გ) მთისძირის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, ბზვანის, ამაღლების, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 100 ლარი თვეში; გ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, ძულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინაოს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 80 ლარი თვეში.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.14) სარიტუალო დახმარება (კოდი 06 02 14)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: **ა)** სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-120000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის ოჯახის დახმარება 300 ლარის ოდენობით; **ბ)** ჩერნობილის ავარიის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში 250 ლარის ოდენობით; **გ)** გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახის დახმარება 250 ლარის ოდენობით; **დ)** გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის ოჯახის დახმარება 250 ლარის ოდენობით; **ე)** უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის გამღებ პირზე დახმარების გაცემა 250 ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.15) მარტოხელა მშობელთა დახმარება (კოდი 06 02 15)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, თითოეულ ბავშვზე, რომელთა მიმართაც პირს დაუდგინდა მარტოხელა მშობლის სტატუსი, 100 (ასი) ლარის ოდენობით;

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.17) ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა (კოდი 06 02 16)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებზე (მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები; ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ ბავშვი/ბავშვები; ობოლი ბავშვები; ის ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები; ბავშვები, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლი/ჰყავთ ძალადობის მსხვერპლი მშობელი; ბავშვები, რომელთა ჯანმრთელობა გაუარესდა და მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება; უკიდურესად ღარიბი ბავშვიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 30000-ს ქვემოთაა; სხვა სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვიანი ოჯახები) გაიცემა ფულადი დახმარება: ერთ ბავშვიან ოჯახზე არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარით, ორბავშვიან ოჯახზე არაუმეტეს 1200 (ათასორასი) ლარით, სამბავშვიან ოჯახზე არაუმეტეს 1500 (ათასხუთასი) ლარით, ოთხ და მეტ ბავშვიან ოჯახზე არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარით. დახმარება შეიძლება გაიცეს როგორც ფლადი, ისე არაფულადი(საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვა) სახით, ერთჯერადად, ასევე ნაწილ-ნაწილ.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.17) სხვა სოციალური ღონისძიებები (კოდი 06 02 17)

5.2.3) გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (კოდი 06 03)

აღწერა: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშბოლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გენდერული საჭიროებების შესწავლა და ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

მიზანი: გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

6) ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

აღწერა: ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული ლოკაციების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას.

მიზანი: მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარების, ვორქშოფების და ტრეინინგების ჩატარება; ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზება/თანაორგანიზება.

6.1) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 01)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ფინასდება ააიპ ვანის ტურიზმის ცენტრი. იგი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ტურიზმის განვითარების საკითხებში.

მიზანი: მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარების, ვორქშოფების და ტრეინინგების ჩატარება; ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზება/თანაორგანიზება.

	დასახელება	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	90.0	97.4	105.3	113.9
07 01	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	90.0	97.4	105.3	113.9